საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 მაისი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/43

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
სტუდენტთა მომსახურების განყოფილების
დებულების განხილვის შესახებ**

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურების განყოფილების დებულება, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 მაისის № 04-01/43
დადგენილების

დანართი

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენთა მომსახურების განყოფილების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურების სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ''უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
1.2 დებულება განსაზღვრავს ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. სტუდენტთა მომსახურების განყოფილების ფუნქციები

2.1. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებთან ურთიერთობა;
2.2. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
2.3. უნივერსიტეტის სპორტულ-კულტურული მიმართულების საქმიანობების კოორდინაცია.
2.4. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა;
2.5. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა და მისი კოორდინაცია;
2.6. სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტური პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობა და კოორდინირება;
2.7. კულტურულ-შემეცნებითი, სამეცნიერო, საქველმოქმედო და სხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება და კოორდინაცია.
2.8. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების გაცვლითი პროექტებისა და საზაფხულო პრაქტიკების კოორდინაცია;
2.9. უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან შეთნხმებით ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა სამთავრობო უწყებებთან და კერძო თუ არასამთავრობო სექტორთან;
2.10. უნივერსიტეტში დამკვიდრებული ტრადიციების გაცნობა, დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის მიზნით;
2.11. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის ყოველმხრივი დაცვა არასაუნივერსიტეტო ურთიერთობებში;
2.12. შიდა საუნივერსიტეტო შეჯიბრებების, კონკურსების, ინტელექტუალური თამაშების, საღამო-შეხვედრების ჩატარების ორგანიზება და კოორდინაცია.
2.13. ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა დამეგობრების მიზნით, სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სპორტული შეჯიბრებების და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი ღონისძიებების გამართვა;

2.14. ლაშქრობებისა და სპორტულ-გასართობი ხასიათის ღონისძიებების კოორდინაცია;
2.15. შემოქმედებითი საღამოების და კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების კოორდინაცია;
2.16. ინტელექტუალური და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების ორგანიზება;
2.17. ხსოვნის საღამოების ორგანიზება და ამგვარი სახის ღონისძიებების დამკვიდრება, უნივერსიტეტის კედლებში მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერების გავლილი შემოქმედებითი ცხოვრების გასახსენებლად, ახალგაზრდებში მათი სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციისათვის და შემოქმედებითი საქმიანობისათვის ინტერესის გასაღვივებლად;
2.18. პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების, საკუთარი ქვეყნის წარსულის უკეთ შეცნობის მიზნით უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩართვა საეკლესიო და ისტორიული კულტურის ძეგლების აღდგენის სამუშაოებში;
2.19. უნივერსიტეტის სპორტული და კულტურული მიღწევების მნიშვნელობის და დეპარტამენტის სპეციფიკით განსაზღვრული სხვა საქმიანობების პოპულარიზაციის მიზნით ბროშურების გამოცემა
2.20. უფლებამოსილია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით მათზე დაკისრებული სხვა უფლებამოსილებანი;

3. განყოფილების სტრუქტურა

3.1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი;
3.2. განყოფილებაში არის სპეციალისტი.
3.3. განყოფილების სპეციალისტს თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბხსუ-ს რექტორი;

4. საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა

4.1 უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება.
4.2 მოწვეული უცხოელი სპეციალისტების, მეცნიერების, პროფესორების მიერ საჯარო ლექციების, მასტერკლასების, ვორკშოპების, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების, აგრეთვე სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებას.
4.3 ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის ისტორიისა და კულტურის შემცველი ელემენტების შეგროვებას, შეფუთვას და აბიტურიენტებისათვის და დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას.
4.4 უნივერსიტეტის ვებსაიტის საშუალებით სტუდენტობასთან და აბიტურიენტენთან აქტიურ თანამშრომლობას, ინტერნეტ-გამოკითხვების ჩატარებას, სტუდენტური საქმიანობის ისტორიის შექმნას.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. დებულება ძალაშია ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;
5.2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.

სწორია: